კროს

# ფანტაზია

№ 5(13)

ფასი 40 თეთრი

21-30 ივნისი, 1996 წელი


... როცა ვინმე მოფიქრალის ფანტაზია ფანტვაზეა, →

## პოლიგლოტი

"პოლიგლოტის" პროგრამაშია:

1. სპარსული ენა (მე-2 გაკვეთილი)
2. რუსული кроссворд-ი
3. გერმანული ოროოგრაფია
4. ინგლისური crossword-ი
5. შოტლანდიური ვისკი

მე - 2 გვ.

## კროსმაისტერი

"კროსმაისტერის" მორიგი გამოშვება:

1. (კროს) პარლამენტი
2. ციფროგრამა
3. სავარჯიშოები
4. "უბრალოდ" კროსვორდი

მე - 3 გვ.

## სასწავლო საწვრთნელი სეანსი







**რა არ არის კროსვორდი...**

როცა შვიდი და მეტასოიან სიტყვას კვეთს არა უმეტეს სამი სხვა ერთეულისა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ, კარგ კროსვორდად. პირველ ფრაგმენტზე ნაჩვენებია სწორედ ამგვარი ნიმუში; რაც უფრო ნაკლებად იკვეთება კროსვორდში სიტყვები, მით უფრო ადვილი შესადგენია ის ავტორისათვის და ძნელი ამოსახსნელია მკითხველისათვის. თავად განსაჯეთ: 1. გემი, რომლის დაღუპვაც დღემდე იდუმალებითაა მოცული; 2. ეგვიპტელთა უმაღლესი ღვთაება; 3. ფირზე აღბეჭდილი გამოსახულების სახესხვაობა; 4. ტბა, დიდი ტბების სისტემიდან, აშშ; 5. უძველესი სახელმწიფოს, ასურეთის დედაქალაქი.

**რა არის კროსვორდი...**

როცა შვიდი და მეტასოიანი სიტყვები მაქსიმალურად დასაშვებ ფარგლებში, თითო ასოს გამოტოვებით კვეთენ ერთმანეთს, ეს კარგ კროსვორდად ჩაითვლება. ასეთი "ქმნილების" შედგენაც ნდა ამოხსნაც თანაბარი სირთულისაა. მეორე ფრაგმენტზე წარმოდგენილია ოპტიმალური ვარიანტი სასწავლო მიზნით შერჩეული კროსვორდისა. კიდევ ერთხელ განსაჯეთ: 6. საქართველოს ზოგიერთ რაიონში ერთობ პოპულარული და ერთობ თვინიერი ცხოველი; 7. (ბატონი) კოტორაშვილი, ერთობ პოპულარული ფილმიდან; 8. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი, (ირლანდიელი ლორდი);

**ეს უკვე ფანტასტიკაა!**

...როცა სიტყვები ერთმანეთს კვეთენ თეორიულად თუ პრაქტიკულად დასაშვებ თითქმის ყველა ასოზე და როცა იქნება ასოთა ან სიტყვათა "ბუდეები" (3x4, 4x4, 4x5 და ა.შ.), ეს უმაღლესი საკროსვორდო "პილოტაჟია", რაც ურთულესი საქმეა ავტორისათვის და ძალზედ გაადვილებული ამოცანაა მკითხველისათვის, რადგან ამოუცნობი სიტყვები ხშირად თავისით იწერება.

მესამე ფრაგმენტზე ჩვენს სასწავლო ნიმუშებს ემატება კიდევ რამოდენიმე სიტყვა: 9. მსოფლიოს უდიდესი მდინარე ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე (4500 კმ); 10. იტალიელი მოქანდაკე, იუველირი და მწერალი (1500-1571); 11. გრძივის ანტონიმი; 12. სოფელი ჯავის რაიონში და ქართული ფოლკლორის პერსონაჟი; 13. ერთ-ერთი ყოფილი მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქი; 14. პატარა ქალაქი კემეროვის ოლქში, ნოვოკუზნეცკის სიახლოვეს (დაგჭირდებათ რუკა);

P.S. ...ხოლო რაც შეეხება ფანტასტიკას:

ჩვენის აზრით, ჩვენ შევძელით ფანტასტიური "გადახლართვის" შექმნა, რადგან მოხერხდა ხუთი ჰორიზონტალური სიტყვის შვიდი ვერტიკალურით გადაკვეთა. "ნაძლევს" ჩამოვდივართ, რომ მსგავს პრეცედენტს ვერ შეხვდებით ვერანაირ ინგლისურ, რუსულ თუ ქართულ კროსვორდში და ეს არ გეგონოთ უსაფუძვლო ქართული ამბიციურობის მორიგი გამოვლინება; თუ არ გჯერათ, სცადეთ და მსგავსი რაოდენობის სიტყვები გადაკვეთეთ. მას, ვინც მოახერხებს ჩვენი შედეგის გადაჭარბებას, ანუ 35-ზე მეტუჯრიანი ასოთა ფართობის შექმნას, ჩვენზე უკეთეს კროსვორდისტად ჩავთვლით.

ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

## MADE IN FANTASY



*მოცემული კროსვორდის სწორად ამოხსნის შემდეგ წრეებით მონიშნულ უჯრებში მიიღებთ ცხრა ასოს, რომელთა საშუალებით შეგიძლიათ შეადგინოთ სიტყვა, რაც იქნება პასუხი ამავე კროსვორდთან თანდართული კითხვა-ანეკდოტისა.*

*ორი შენიშვნა: 1. ამოსაცნობი პასუხის ასოთა თანამიმდევრობა წრეების რომაული ნუმერაციით განისაზღვრება; 2. თქვენი ამოცანის გასაადვილებლად ყოველ იმ სამ ხაზზე, რომლებიც "ფანტაზია"-დან გამოდის, სიტყვები იწყება შესაბამისი ასოთი (მაგალითად: ფ-ს გასწვრივ სამივე ხაზზე თარაზულად სიტყვები იწყება ასო ფ-ზე, ზ-ს გასწვრივ — ზ-ზე და ა.შ.).*

თარაზულად: 1. "მადამ ბოვარის" ავტორი; 7. ინგლისს-ესპანეთის მატჩის შედეგი; 9. ფულის დიალექტური სახესხვაობა; 10. ბელგიის ისტოლქი; 11. "დემოკრატიული" წყობის მთავარი ატრიბუტი; 12. იგივეა, რაც ბოხჩა; 13. მთავარი სისხლძარღვი; 14. ხვეწნა, მუდარა, ვედრება... კიდევ? 16. 0,01 ჰა; 17. ინდოჩინური ჯუჯა კამეჩი; 19. 123-45-67+89=? 21. ლითონის ენიანი შესაკრავი, რომელიც "აბრჭყვიალდა" ანუ...; 24. უფლება ან შესაძლებლობა; 25. ესტონელი მოჭადრაკე წარსულში; 27. ქართველების დასახლება ბამზე; 28. ხაშის აუცილებელი ატრიბუტი; 30. ერთ-ერთი პოპულარული სახელი ბიზანტიის იმპერატორთა შორის; 32. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 33. კვიპაროსთა ოჯახის მარადმწვანე ხე ან ბუჩქი; 34. ახლო წარსულის ბრაზილიელი ფეხბურთელ სერუზოს სახელი; 37. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი; 38. დესპოტიზმი; 41. სამშენებლო მასალა; 42. შენობის არქიტექტორული დეტალი; 44. "ზოლიანი" სიგარეტი; 45. ქართველი პრომეთე; 48. მუზარადის გარშემო შემოვლებული ლითონის ბადე; 49. ძვ.ქართული წარმართული ღვთაება; 52. "უძრაობის" ხანის "უსაყვარლესი" მომღერალი; 53. პოლონური ფული; 54. 1986 წ. თბილისის "დინამოს" რუსი მწვრთნელი; 55. ჭრილობა; 56. იაპონური ფული; 57. უშფოთველი ყოფა; 59. "გრაფი მონტე-კრისტოში" აღწერილი ციხე-სიმაგრე; 61. ტროპიკული ხილი; 65. ცხენის გამამხნევებელი შეძახილი; 66. ქალაქი თურქეთში; 67. ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი; 68. იგივეა, რაც მაკაო.

შვეულად: 2. ფრანგი მეიგავე; 3. ბოლივიის ერთ-ერთი დეპარტამენტის ცენტრი; 4. კიევის "დინამოს" ფეხბურთელი ახლო წარსულში; 5. (ბატონი) ციმბალარი... (იტალია-რუსეთი 2:1); 6. წინხედი; 7. საფეხბურთო მინდვრის განაპირა ნაწილი; 8. იგივეა, რაც გნიასი; 15. მუსიკალური მიმდინარეობა, რაც ერთდროს სსრკ-ში იკრძალებოდა; 18. მდინარის ღრმა ხეობა, კორდილიერებში; 20. განგის "კოლეგა"; 22. 1982 წლის იტალიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი; 23. ალ.ჭავჭავაძის ლექსის რეფრენი; 26 (ბატონი) მღვიმელი; 29. ზევსის დედა; 31. ესპანელი დამპყრობი; 33. მედეა ჩახავას სცენური სახე "ჭინჭრაქაში"; 35. მოკრივის ერთ-ერთი წამგებიანი მდგომარეობა; 36. სოფელი ზუგდიდთან; 39. დასასვენებელი სახლი; 40. ფრიდონის ერთ-ერთი სახელი; 43. ყველაზე წყალუხვი მდინარე დედამიწაზე; 46. (ქალბატონი) სარიშვილი; 47. ქართველი კინომსახიობი ქალი; 49. სიტყვა არ არის ჩაშიფრული კროსვორდის სპეციფიურობის გამო; 50. ჯადოსნური ლამპარის მფლობელი; 51. სანიმუშოოების საზომი; 58. მაგარმერქნიანი საშუალო სიმაღლის ხე; 60. იუგოსლავური გვარების დაბოლოვება; 62. მდინარე პოს მარცხენა შენაკადი; 63. რუსი იმპერატრიცების სახელი; 64. ნიავი.

### კითხვა-ანეკდოტი

ერთხელ ერთი "დიდყურა" პურის მაღაზიაში შევიდა და იკითხა:

— ფოთოქალი გაქვთ?

გამყიდველმა იგი უარით გამოისტუმრა.

მეორე დღეს ის შევიდა "დიდყურა" მაღაზიაში და იკითხა:

— ფოთოქალი გაქვთ?

გამყიდველმა ისევ უარით გამოისტუმრა.

მესამე დღეს, კვლავ რომ შევიდა "დიდყურა" და კვლავ რომ იკითხა — "ფოთოქალი გაქვთო" — გამყიდველი დაემუქრა: "თუ კიდევ შემოხვალ, მაკრატლით ყურებს დაგაჭრიო!"

მეოთხე დღეს მაინც შევიდა "დიდყურა" და ამჯერად იკითხა:

— მაკატელი გაქვთ?

— არა — უპასუხა გამყიდველმა.

— ფოთოქალი?




(რა ერქვა ამ "დიდყურას" — პასუხი ჩაწერეთ რომაულციფრებიან რკალებში).

## რა ჩვენი საქმეა?!

...რა ჩვენი საქმეა და, გვალიზიანებს, როცა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში სატკივარ-სასიკვდილო ფაქტებს ისე ჩამოთვლიან ხოლმე, თითქოს მეფე ერეკლეს გამარჯვებათა სერიალს აღნუსხავდნენ...

...რა ჩვენი საქმეა და, გვაოცებს, როცა არანაირი განათლების და არანაირი გამოცდილების პირები რადიოს თუ გაზეთს შექმნიან და მავანი პრეზიდენტისა თუ (დიდრონი) მინისტრის საქციელს სულხან-საბასეული დიდაქტიზმით აკრიტიკებენ...

...რა ჩვენი საქმეა და, გვწყინს, როცა ერთი სერიოზული ბეჭდვითი ორგანოს მთავარი რედაქტორი გვეკითხება — "პოლიგლოტი" რას ნიშნავსო? (ჩვენ გვეგონა, რომ გვაშაყირებდნენ?!) — და თან თვალებს ისე წრუპავს, თითქოს "სწავლა მოსწავლეთა" მისი დაწერილი იყოს...

...რა ჩვენი საქმეა და, გვეჩოთირება, როცა "გაზეთად" წოდებული გამოცემები ისე აქოთქოთებენ რუსულ პრესას და ისე ზრდიან ტირაჟს რუსების ნაშრომ-ნაღვაწის წყალობით, თითქოს სოლომონ ისაკიჩისაგან მემკვიდრეობით მიელოთ რუსული პრესის თარგმნის ექსკლუზიური უფლება...

...რა ჩვენი საქმეა და, ე.წ. ბიზნესმენები... თუმცა ეს უკვე "სხვა ოპერიდანაა" და...

...და ღმერთმანი, ყოველივე ამაზე ფიქრს ისევ ჩვენი საქმის — ჩვენი კროსვორდების — კეთება სჯობს!

# პოლიგლოტი

## სპარსული ენა

### განვლილი მასალის გამეორება

1 آ
2 ب
3 پ
4 آب
5 با
6 باب
7 پا

შეგახსენებთ პირველ სამ ასოს, ესენია "ალეფი" — №1 (გრძელი ა), "ბე" — №2 და "ფე" — №3

როგორც ხედავთ, "ალეფს" თავზე "ქუდი" ახურავს, ეს ქუდი მას მხოლოდ სიტყვის თავში სჭირდება, შუაში კი "უქუდოდ" იხმარება. "ბ"-ს და "ფ"-ს კი მხოლოდ წერტილების რაოდენობა განასხვავებს. ეს სამივე ასო იწერება ხაზს ზემოთ, წერტილები კი ქვემოთ.

სპარსული ენისთვის, ჩვენგან განსხვავებით, დამახასიათებელია მარჯვნიდან მარცხნივ წერა და ასოთა მოხაზვის დაწყებაც ასეთი მიმართულებით უნდა მოხდეს. სიტყვა "ა:ბ" — წყალი (N4) გრძელი "ა:"-სა და "ბ"-სგან შედგება (ორი წერტილი გრძელი ასოს მინიშნებაა. "ალეფი" და "ბ" აქ ერთმანეთს არ ებმის, რადგან "ალეფი" თვითონ არც ერთ შემთხვევაში არ იბამს, მაგრამ თუ ის მოსდევს სხვა ასოს, მას, როგორც წესი, გადაებმის ისე, როგორც N5 ნიმუშზეა ნაჩვენები, სადაც წერია "ბა:"(-თან). "ბე" (და "ფე") თავის შემდგომ მოთავსებულ ყველა ასოს იბამენ და ამის გამო მათ რჩებათ მხოლოდ "სხეულის" ნახევარი და წერტილიც ცენტრიდან კაუჭისაკენ გადაინაცვლებს.

№6 ნიმუშზე წერია "ბა:ბ", რაც ჭიშკარს ან წიგნის თავს ნიშნავს.

№7 — "ფა:", ანუ ფეხი.

## (მე-2 გაკვეთილი)

8 ت
9 ث
10 تا
11 تاب
12 تَب
13 تِبِت
14 ثَبت
15 ثابِت
16 پِتپِت
17 پاپا

გაგაცნობთ ორ ახალ ასოს: "თე" (N8) ზემოთ ორი წერტილით და "სე" (N9) ზემოთ სამი წერტილით. პირველი მათგანი ერთ-ერთი ძირითადი ასო-ბგერაა, ხოლო მეორე პრაქტიკულად თითო-ოროლა შემთხვევაში იხმარება და ისიც — არაბულიდან შესულ სიტყვებში (სპარსულ ენაში არის ბგერა "ს"-ს გამომხატავი სხვა ძირითადი ასო).

ახლა გავეცნოთ ოთხ პირობით ნიშანს, რომლებიც არ იწერება და მხოლოდ სასწავლო პროცესში გამოიყენება სიტყვების სწორი ფორმების დამახსოვრების მიზნით. (მარჯვნიდან მარცხნივ) ნაჩვენებია ის, თუ როგორ აღინიშნება ა) მოკლე ა, ბ) მოკლე ე, გ) მოკლე ო და დ) ეს ნიშანი აღნიშნავს, რომ თანხმოვანთა შორის არანაირი ხმოვანი არ არის.

| დ | გ | ბ | ა |
|---|---|---|---|
| ° | ʼ | | ´ |
| | | ´ | |

ამის შემდეგ შეგვიძლია შემდეგი სიტყვები წავიკითხოთ:

N10 — "თა:" (სანამ, ვიდრე)
N11 — "თა:ბ" (1. ბრწყინვა, 2. გრეხა და ა.შ.)
N12 — "თაბ" (ციებ-ცხელება)
N13 — "თებეთ" (მწყერი)
N14 — "საბთ" (ჩაწერა, რეგისტრირება, აქედან გაჩნდა ჩვენს ენაში სიტყვა "საბუთი")
N15 — "სა:ბეთ" (მყარი, შეუდრეკელი)
N16 — "ფეთფეთ" (ეს სიტყვაც შემოვიდა ჩვენში "ფუთფუთის" სახით; დააკვირდით პატარა რგოლს "თ"-სა და "ფ"-ს შორის, რაც მიგვითითებს იმას, რომ აქ ხმოვანი არ არის).
N17 — "ფა:ბეფა:" (კომპოზიტი, რაც ორი "ფა"-ს (ფეხი) და "ბე" წინდებულისაგან შედგება და ნიშნავს "ფეხდაფეხს" ან "თანდათანს".

### საშინაო დავალება

**მოიმარჯვეთ (თურქული) რვეულები, (სირიული) კალმები და ივარჯიშეთ ასოთა წერა-გადაბმაში.**

**P.S. თუ ღმერთი გწამთ, ნუ იზარმაცებთ და თქვენს მშობლებს ნუ დაგვაბარებინებთ რედაქციაში!**

## გერმანული ორთოგრაფია

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 16 ფედერალური მიწის პრემიერ-მინისტრებმა "დასტური" თქვეს გერმანული ენის მართლწერის რეფორმის გასატარებლად. ახლა მხოლოდ გფრ-ს მთავრობის თანხმობაა საჭირო, რაც ამ რეფორმის პროექტის მიღების ფორმალურ დამტკიცებაში გამოიხატება. რეფორმა საბოლოოდ მაშინ ჩაითვლება გატარებულად, როცა გერმანულენოვანი ქვეყნები — გფრ, ავსტრია და შვეიცარია — შესაბამის სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ.

თავად ორთოგრაფიის ახალი წესები კი 1998 წლის აგვისტოდან შევა ძალაში, თუმცა 2005 წლამდე ეს ახალი წესები იმოქმედებს ძველთან ერთად, რომლებიც ჩაითვლება მოძველებულად, მაგრამ კვლავაც მოქმედად. ყოველივე ეს კი საიმისოდ კეთდება, რომ გერმანიის, ავსტრიის და შვეიცარიის მოქალაქეებს მიეცეთ საშუალება, თანდათანობით მიეჩვიონ სიახლეებს და მათი მიღების დღიდან უეცრად წერა-კითხვის უცოდინართა სიაში არ ჩაეწერონ.

მისაჩვევი კი მათ, მართლაცდა, ბევრი ექნებათ.

ასე მაგალითად: საშუალო გერმანელი მოქალაქის ძირითად ლექსიკურ მარაგში, რომელიც ლინგვისტების მტკიცებით 12 ათას ერთეულს მოიცავს, "გარეგნულ იერს" 185 სიტყვა შეიცვლის, სულ კი ასეთი ცვლილებების რაოდენობა დაახლოებით 12 ათასს მიაღწევს. ახლა არსებული მართლწერის 212 წესიდან შენარჩუნებული იქნება 12, ტექსტში მძიმეების განლაგების ახლანდელი 57 წესიდან კი დარჩება 9. ამასთანავე მძიმეების დასმისას ნებაა დართული, რომ უფრო პირადი შეხედულებით იხელმძღვანელონ, ვიდრე იმ მითითებებით, რომელთა უმრავლესობას ხალხის ძირითადი მასა, სულერთია, არ იცნობს.

*მინაწერი: ეს გახლდათ ფრაგმენტი გაზ. "ფავორიტში" გამოქვეყნებული წერილიდან, რაც, ჩვენის აზრით, საკმაოდ პროგრესულ მოვლენას ეხება! აქვე შეგახსენებთ, რომ ერთ დროს დიდი კონსტანტინე გამსახურდია ოცნებობდა იმაზე, რომ მწერალ-მკითხველს ერთმანეთისათვის ყოველგვარი სასვენი ნიშნების გარეშე გაეგოთ... (არაბულ დამწერლობაში ხომ საერთოდ არანაირი წერტილ-მძიმე არ იხმარება!); თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად:*

*"ისწავლე მამაშენივით უვიცი არ გამოხვიდე!"*

*აქ მძიმეების განლაგება, როგორც მოგეხსენებათ, აზრს ცვლის.*

**P.S.** საქართველოს ზოგიერთ რაიონში აღნიშნული "უვიცის" ნაცვლად ერთი თვინიერი პირუტყვი მოიხსენიება (— რედ.).

## შოტლანდიური ვისკი

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სიტყვა "ვისკის" დაწერილობის ორი ვარიანტი არსებობს — Whiskey და Whisky — და ორივე სწორია; უბრალოდ, პირველ შემთხვევაში საქმე ეხება ირლანდიურს, ხოლო მეორეში — შოტლანდიურ ვისკის. ორივე შესანიშნავი სასმელია. შოტლანდიურ კილოკავზე "სიცოცხლის წყალი" (შეადარე — "უკვდავების წყარო" — რედ) ჟღერდა, როგორც — "უისკებაფ", რამაც თანდათან სახე იცვალა და გარდაიქმნა "ვისკიდ".

შოტლანდიურმა ვისკიმ სულ ახლახანს აღნიშნა თავისი ლეგალური არსებობის 500 წლისთავი. ერთი შოტლანდიელი პასუხისმგებელი პირის 1494 წლის სპეციალური მბრძანებულება ადასტურებს, რომ "...(მავანმა) ჯონ კორმა "სიცოცხლის წყლის" წარმოებისათვის გამოიყენა რვა საწყაო (7800 კგ) ალაო" (ალაო — გაღვივებული და გამხმარი ქერი ან ხორბალი. — განმ. ლექს). ...დღევანდელი რეცეპტი სწორედ მას შემდეგ შემუშავდა.

### როგორ მზადდება ვისკი

ვისკისათვის იღებენ ისეთი ალაოს მარცვლებს, რომელიც ანკარა, ოდნავ მინერალიზირებულ წყალშია გაღვივებული, ეს შეიძლება ყოფილიყო წყარო, ნაკადული ან სხვა გამდინარე წყალი. შემდეგ ამ მარცვლებს აგროვებენ, ახმობენ და ბოლავენ ტორფის კვამლში, რასაც მოსდევს ნისქვილში დაფქვა და წყალში აზელვა... მერე დაელოდებიან ამ მასის აფუებას, ჩაასხამენ კასრებში და ჩაიტანენ სარდაფში სამი წლით. ეს იყო ძალზედ ზოგადი აღწერა შოტლანდიური ვისკის დამზადებისა, ირლანდიელები კი აკეთებენ თითქმის იგივეს იმ განსხვავებით, რომ ალაოს მარცვლებს ბოლავენ არა ტორფით, არამედ ღუმელში და ამიტომაცაა, რომ ირლანდიურ ვისკის არ გააჩნია ის ოდნავი კვამლნარევი გემო, რაც შოტლანდიურს აქვს. არის კიდევ ერთი განსხვავება: ირლანდიური ვისკი "მწიფდება" მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში, ნაცვლად სამისა.

არსებობს ვისკის სამი სახეობა: "სინგლ მოლტ", "პიუერ მოლტ" და "ბლენდ". "სინგლ", ანუ — მხოლობითი, ეს ის ვისკია, რომელიც წარმოებული და ჩამოსხმულია ერთ ქარხანაში ერთი წლის განმავლობაში. ხშირად ერთ ბოთლში ერთმანეთს ერევა სხვადასხვა წელს წარმოებული და სხვადასხვა სურნელის მქონე ვისკი და მას მაინც "სინგლ მოლტ"-ი ჰქვია, მაგრამ თუ ეტიკეტზე ასეთ წარწერას წააწყდით — "სიმფლ სინგლ მოლტ" — ეს იმას ნიშნავს, რომ ვისკი ერთ წელსაა წარმოებული და არაფერი აქვს შერეული. "სინგლ"-ების დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ მათი შენახვა დიდხანს შეიძლება და ამით მხოლოდ მეტი არომატი მიეცემა მას.

"პიუერ მოლტი" ითარგმნება, როგორც "წმინდა ალაო", თუმცა ეს არცთუ სწორია, რადგან სწორედ რომ "წმინდა" ნიმუშებშია შერეული ვისკის რამოდენიმე სახეობა — თვით სხვადასხვა ქარხნის, სხვადასხვა მარკისა და სხვადასხვა წლის "სინგლ"-ებიც კი... აქ მთავარი არომატია!

"ბლენდ"-ი, ეს არის, როგორც წესი, ნარევი ძალზედ ძვირფასი "პიუერ"-ისა ნებისმიერ სხვა ალკოჰოლურ ნაწარმთან — მაგალითად, სიმინდის, ხორბლის ან სხვა მარცვლეულის არაყთან. ზოგჯერ "ბლენდ"-ის ერთ ბოთლში ერთმანეთშია არეული სხვადასხვა მარცვლეული კულტურის ოცდაათამდე არაყი.

ინგლისური პრესის მასალების მიხედვით

(შემდეგ ნომერში გავეცნობით იმას, თუ როგორ სვამენ შოტლანდიურ ვისკის)

## CROSSWORD

ეს სიტყვები თარგმნეთ ინგლისურად და შეავსეთ კროსვორდი

**Across:** 2. მზე; 4. მთვარე; 7. მეტი; 9. კაცები; 10. სამოცი წუთი; 11. ვარსკვლავი; 13. ფეხბურთი; 15. ჩვენ; 16. მწვანე.

**Down:** 1. ზაფხული; 3. შუადღე; 5. ან; 6. ბუდე; 8. მიღმა, გადაღმა; 9. ვალდებულების აღმნიშვნელი ზმნა; 11. მარილი; 12. ვარდი; 14. ზმნა "ბერვის" ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმა.





**По горизонтали:** 12. Грузинский посатель, автор .романа "Гиви Шадури"; 13. Персонаж оперы "Даиси"; 14. Повесть Гоголя; 15. Человек, доходящий до крайней, дикой жестокости; 17. Посещение, преимущественно официальное; 19. Реакционер, враг прогресса; 21. Тот, кто занимается религиозной живописью; 23. Самое популярное животное в одной из регионов Грузии; 24. Шум, скандал; 25. Великий грузинский актер; 28. Имя Смоктуновского; 29. Персонаж средневековой персидской поэмы, возлюбленная Рамина; 30. Опера Р. Леонкавалло; 33. Префикс — сокращение времен социализма; 34. Северный ветер; 35. Памятник грузинской архитектуры; 37. Река во Франции и Бельгии; 41. То же, что знамя; 42. Мастерская художника; 43. Выдающийся итальянский кинорежиссер; 44. Имя актера Манджгаладзе; 45. Младшая фигура в игральных картах; 47. Одноконный экипаж в Англии; 48. Почетное звание в Великобритании; 49. Часть света; 50. Старинная единица объема жидкостей и сыпучих тел во Франции; 51. Заболевание ногтей; 52. Мельчайшая частица хим. элемента; 53. Имя поэта Мирцхулава; 54. Пресноводный червь; 55. Твердое мелкозернистое вещество, получаемое из алмаза; 56. Полная неудача; 57. Лучшая команда Голландии.

**По вертикали:** 1. Произведение Давида Гурамишвили; 2. Спектакль Сандро Ахметели; 3. Вооруженная борьба; 4. Город в США, на побережье тихого океана; 5. Глубоко личный, сокровенный... 6. Грузинская газета; 7. Шекспировский король; 8. Роман, который перевел с французского Илья Чавчавадзе; 9. Сопровождаемая часть "Статуса"; 10. Африканский футболист, партнер Кахи Цхададзе в "Айнтрахте"; 11. Бог войны в др. греческой мифологии; 13. Государство в Европе; 14. Юноша, сын Дедала, первый "воздухоплаватель"; 15. Древнейшая столица Грузии; 16. Имя актрисы Такаишвили; 18. Твердый покров некоторых животных; 20. Крупное животное из семьи оленей; 22. Наука, изучающая собственные имена; 26. Часть здания общественного назначения; 27. Столица Юж. Африканской республики; 28. Письменное приветствие к юбилею; 29. Закономерно связанные друг с другом элементы; 30. Внезапное прояснение сознания; 31. Некроперсонаж в фильме Э. Шенгелая "Необыкновенная выставка"; 32. Большой мягкий перевязанный сверток; 36. Венецианская лодка; 38. Один из трех основных родов словесного искусства; 39. Первая "Леди"; 40. Лицо из высшей церковной "власти"; 42. Др. греческий босcнописец; 43. Строение для хранения разных продуктов; 46. Домашнее животное; 47.Единственный современный представитель ильных рыб.

## გასული ნომრის პასუხები

(პიპო-აფრო) შვეულად: 1. ჰიპოპოტამი; 2. აფრა; 3. მაკაროვა; 4. ოლე; 5. ზარია; 6. ანი; 8. სტრაბონი; 9. აიოვა; 10. იკაროსი; 12. ბი; 16. პრეტორია; 17. ალბენა; 20. აიქენჰო; 21. თომა; 22. ელადა; 23. მერიმე; 25. რადიაცია; 28. ლეონკავალო; 30. არდი; 32. ანარქია; 34. აჩმა; 37. ერიქსი; 38. სიესი; 39. ავი; 41. როსლანი; 42. ხვიჩია; 43. მარაო; 45. ისკრა; 49. რუკა; 50. კატა; 51. კალია; 53. რიკი; 54. ჩაო; 55. ილია.

თარაზულად: 3. მოზამბიკი; 7. უსამი; 11. აბა; 13. ტალანი; 14. პრიმატი; 15. კენია; 16. პარკერი; 18. ბოა; 19. როზა; 21. თებერვალი; 24. ბარო; 26. ოტელო; 27. ვატერლოო; 29. ასა; 31. მონავარდე; 33. ნადირი; 35. არადანი; 36. ნემიროვიჩი; 39. აჰრიმანი; 40. მარიხი; 44. კრივოი; 46. კაცო; 47. ვეა; 48. არაქსი; 50. კაკა; 52. ოსტრავა; 54. ჩალიჩი; 56. აკვარელი; 57. იტალია; 59. კალიფორნია.

(MADE IN FANTASY) ჰორიზონტალებზე: 2. კოლტი; 5. მონანიება; 8. კასიანო; 9. ერევანი; 11. მდარე; 13. ანწლი; 14. ოსიკო; 16. დეფექტი; 19. ურნა; 20. კამა; 22. მალვინა; 24. ფურიე; 26. რილკე; 28. ხინჯი; 29. ჩერჩილი; 30. აპოლონი; 32. ოლიგარგია; 33. ილონა.

ვერტიკალებზე: 1. ბლინი; 2. კანტონა; 3. იმერეთი; 4. კლაუდია; 5. მდადე; 6. ალეპო; 7. კონაკრი; 10. მწვერვალი; 12. რეგრესი; 15. სტომაქი; 16. ადამი; 17. ნიკამ; 21. ფიურერი; 23. ხოჯენდი; 25. ელიბო; 26. რაიკინი; 27. ეპარქია; 28. ხროვა; 31. კანოე.

(კროს) პარლამენტი

1. ფიესტა; 2. არგენტინა; 3. დონატელო; 4. სენდვიჩი; 5. გეო; 6. მისტერია; 7. ანომალია; 8. პროტექცია; 9. ფილტვი; 10. ვიარდო; 11. ელენი; 12. ნარსია; 13. ესმერალდა; 14. სტომატიტი; 15. ვაიმე; 16. იოლი; 17. რასტრელი; 18. რელიქვია; 19. ჩელსი; 20. სპონსორი; 22. სალტე; 23. რიონი; 24. ასათიანი; 25. სერია; 26. თეკლე; 27. ნერგი; 28. ალა; 29. ყრუ; 30. ტრიგორინი; 31. ანაკეიონი; 32. რეპრესია; 33. სიმეტრია; 34. ანაგრამა; 35. ანტი; 36 (თ) ვალენსია; (მ) ვაკანსია; 37. ლაპერუზი; 38. ნინუა; 39. ალოგამია; 41. კაპიკები; 42. ბატონი; 43. გეიშა; 44. ოპერატორი; 45. ანარქისტი; 46. უშუ; 47. ასანთი; 48. მუშნი; 49. ზენონი.

(CROSSWORD)

Across: 7. repeat; 8. thirty; 9. its; 10. under; 11. sea; 14. write; 15. white; 16. skate; 18. sleep; 22. ate; 23. bread; 24. new; 27. before; 28. poket.

Down:1. letter; 2. tea; 3. stand; 4. cother; 5. big; 6. street; 12. state; 13. shelf; 17. kitten; 19. elevan; 20. green; 21. happy; 25. hot; 26. ice.

# კროსმაისტერი



თარაზულად: 6. "ბითლზის" მშობლიური ქალაქი; 8. რომანი იტალიელ მეამბოხეთა შესახებ, ერთი მწერის "მონაწილეობით"; 9. პეტროვის და სიდოროვის "კოლეგა"; 15. სხვისი შვილი; 16. დღევანდელი ჰაიტის კონკისტადორთა მიერ შერქმეული სახელი; 17. სამკურნალო მცენარე; 18. ფრანგული ესტრადის მეტრი წარსულში; 19. წრეწირის და ცენტრის შემაერთებელი ხაზი; 21. დურუ ხუნჭუას "დახმარებით" მიღწეული შედეგი; 23. უძლიერესი ფრანგი ფეხბურთელი, რომელიც ნაკრების ღირსი არ გახადეს; 24. რუსების დიდი მრგვალი პური; 27. სკანდინავიური ქვეყნის დედაქალაქი; 28. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სალექი რეზინი; 29. ბურთის თამაშში შეყვანის ერთ-ერთი ხერხი ფეხბურთში; 32. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 33. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 34. კინოფილმის ერთ-ერთი შემქმნელი.

შვეულად: 1. პიესის ტექსტში ავტორისეული შენიშვნა; 2. ჩქარი სირბილი; 3. ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 4. ყოფ. გდრ-ის ქალაქი; 5. ქართული ბულვარული გაზეთების ერთ-ერთი წამყვანი თემა; 7. მოსწრებული ენის ნაირგვარობა; 10. ფრანგული ეთიკეტის ნიმუში; 11. ხელოვნური ენა; 12. საზოგადოების ყველა სფეროზე ზემომქმედი პოლიტიკურ-რელიგიური მიმართულების მიმდევარი; 13. მუდმივი სდიდე; 14. შრი-ლანკას ქალაქი-პორტი; 20. ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერება; 22. არეულობა; 25. ჟან-ბატისტ პოკლენის ფსევდონიმი; 26. 30-იან წ.წ. პოპულარული სამხრეთამერიკული მელოდია; 30. 50-იანი წ.წ. მოსკოვის "სპარტაკის" ფეხბურთელი; 31. ქალაქი იტალიაში.

# (კროს)პარლამენტი




როგორც მოსალოდნელი იყო, N13-ის პარლამენტი (46 ადგილი) "ერთპარტიული" გამოდგა, რადგან ყველა — ამომრჩევლებიც, საარჩევნო კომისიის წევრებიც და შედეგების ფალსიფიკატორებიც — ფეხბურთზე სჯა-ბაასით არიან დაკავებულნი. ამიტომაც შეიქმნა მხოლოდ ერთი საარჩევნო ბლოკი — "ევრო-96"-ის სახელით და როგორც ერთპარტიულობას სჩვევია, ორიოდე მიტმასნებული "კარიერისტით". არიან, რა თქმა უნდა, ღირსეული "მაჟორიტარებიც".

"ევრო-96" (23 წევრი)

თარაზულად:

11. რუსეთის ტელევიზიის სპორტული გადაცემა, რომელიც ახლა მხოლოდ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატს ეხება.

13. მსოფლიოს უდიდესი სტადიონი.

15. 60-იან წწ. იუგოსლაველი ფეხბურთელი (N11)

16. რუსეთის ნაკრების ახლანდელი მოქმედი ფეხბურთელი.

19. იტალიის ნაკრების ახლანდელი მოქმედი ფეხბურთელი.

25-26-27. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ფეხბურთში თავისი ორი საფეხბურთო კლუბით.

31. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი.

41. რა შეიძლება ეწოდოს ბრაზილიური სისტემის (4-2-4) ოთხ თავდამსხმელს (მიტმასნებული კარიერისტი)?

42. რომელ ნახევარკუნძულზე თამაშობს ბაქოს "ნეფთჩი" (ესეც მიტმასნებული გახლავთ)?

43. 60-იან წწ. ინგლისელი ბომბარდირი (N8).

45. რა აქვთ საერთო გაზაევს და ლობანოვსკის?

შვეულად:

2. არგენტინული წარმოშობის იტალიელი ფეხბურთელი 50-60იან წლებში.

3. იტალიური წარმოშობის არგენტინელი ფეხბურთელი 70-80-იან წლებში.

5. ქვეყანა, სადაც ამ უკანასკნელმა (მე-3 შვეულმა) ტრიუმფით გაამარჯვებინა თავის ნაკრებს 1986 წელს.

28. ცნობილი რუსი საფეხბურთო კომენტატორი (თავისი ჰოკეისტი ძმის ტყუპისცალი).

29. სკანდინავიის ქვეყანა, რომელმაც 1994 წ. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ინგლისი "გამოაგდო".

30. ქართველი ფეხბურთელი, ან მთავარი სპორტული ლიდერი.

32. რუსი მსაჯი, რომელმაც 1962 წ. ფინალური მატჩი იმსაჯა ჩილეში.

33. ვინ უნდა იყოს თავისი "პოზიციით" მოედანზე მსაჯი?

35. 1970 წ. ბრაზილიის ნაკრების უძლიერესი ნახევარმცველი (ამბობენ, რომ იგი დღეში 80 სიგარას ეწეოდა).

39. რა იყო (მედიცინის ენაზე) ქუთაისის "ტორპედო" თბილისის "დინამოსთვის" სსრკ ჩემპიონატების დროს (მიტმასნებული დეპუტატი!)

"მაჟორიტარები" (23 წევრი)

თარაზულად:

10. მშრალი ამინდების "სერიალი". 12. გეომეტრიული ფიგურა. 14.გეომეტრიული ფიგურა. 17. ქრისტეანული ღვთისმსახურების სახეობა. 18. პატარა ტილო. 22. ქართველი მოჭადრაკე ქალი. 34. ბერძნული ანბანის ასო. 36. ესპანეთის კუნძული. 38. ამერიკელი ბიზნესის მაგნატთა გვარი. 40. ჩრდილოკავკასიის მდინარე. 44. ამერიკის ექს-პირველი ლედი.

შვეულად: 1. თბილისის გარეუბანი. 4. ბოსნიელთა პოლიტიკური ლიდერი. 6. პარიზის ცნობილი ციხე. 7. პირობის შესრულების სიტყვიერი ან ნივთიერი საბუთი. 8. თანაბარზომიერება ცენტრის მიმართ. 9. ქალაქი თურქეთში. 20. დაბალი დიპლომატიური ჩინი. 21. ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი. 23. გიორგი, ჯორჯი, ჟორჟი... კიდევ? 24. ინგლისური სიგრძის საზომი. 31. "სახესხვაობის" ლათინური სინონიმი. 37. იგივეა, რაც ლაგამი.

# სავარჯიშო



გთავაზობთ 36 კითხვას, რომელთა ამოცნობის შემდეგ თქვენ საშუალება მოგეცემათ, განალაგოთ პასუხები მოცემულ სამ ერთნაირ ჩარჩოში. ასე რომ, თქვენ შეასრულებთ ორ სამუშაოს: კროსვორდს ამოიცნობთ კიდევაც და თქვენვე შეადგენთ.

9-ასოიანი პასუხები თარაზულად: 1. სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა; 2. ავადმყოფური წერის მოყვარული; 3. ნიმუში, რომელიც წარმოადგენს მის მსგავს ერთეულთა ასათვლელ "წერტილს"; 4. ცენტრს მოშორებული რეგიონი; 5. გავლენიანი პირის მიერ გაწეული მფარველობა; 6. სამეცნიერო მოღვაწეობისთვის მომზადებული პირი.

9-ასოიანი პასუხები შვეულად: 7. სხვისი მოღვაწეობის შემფასებელი პირი; 8. იგივეა, რაც აფთიაქარი; 9. სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება; 10. XX ს. დასაწყისის რუსეთში ცნობილი რეფორმატორი მოღვაწე; 11. ერთ-ერთი რელიგიური სექტის მიმდევარი რუსეთში; 12. იგივეა, რაც მანძილი.

4-ასოიანი პასუხები თარაზულად: 13. XIX ს. რუსი პოეტი; 14. მთიელთა სოფელი; 15. ბერძნული ანბანის ასო; 16. მწერალი იოსელიანი; 17. მონღოლთა კოლონიალური სახელმწიფო; 18. რკინიგზის სადგური გორთან; 19. სარევიზიო საქმიანობის დამაგვირგვინებელი დოკუმენტი; 20. მატარებლების სადგომი; 21. ხვიარა მცენარე; 22. ყვავილების პატარა თაიგული; 23. ქვეყნის ნაწილი; 24. სითხის სათავსი ზოგადად.

4-ასოიანი პასუხები შვეულად: 25. ციური სხეულიც, ჭადრაკის ფიგურაც და სატრანსპორტო საშუალებაც; 26. პარიზის მდინარე; 27. გერმანელი ქალბატონი ზოგადად; 28. იტალიური სახელი (ბეარზოტიც და შიფოც); 29. სიცილიის ვულკანი; 30. სასკოლო ინვენტარი; 31. მაღალი ხე; 32. კ.-ფ. "შეხვედრა წარსულთან" პერსონაჟი; 33. ბერძნული ანბანის პირველი ასო; 34. რუსეთის პარლამენტი; 35. საფრანგეთის კინო-საფესტივალო ქალაქი; 36. სათათბირო-საკრებულო ქმედების დამაგვირგვინებელი ობიექტი.

# ციფროგრამა




| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 07 | 002 | 00316 | 59221 | 1206 |
| 12 | 008 | 00913 | 61006 | 1306 |
| 17 | 012 | 01126 | 61622 | 6111 |
| 22 | 013 | 32602 | 61636 | 6112 |
| 27 | 101 | 32606 | 61646 | |
| 30 | 102 | 58620 | 61696 | 1110263 |
| 33 | 108 | 58621 | 63222 | 1283561 |
| 37 | 192 | 58622 | 63322 | 2172862 |
| 40 | 201 | 58623 | 68325 | 2233461 |
| 47 | 263 | 58624 | 68616 | 3272925 |
| 48 | 264 | 58625 | 68622 | 4263545 |
| 57 | 300 | 58626 | 68623 | 5101312 |
| 60 | 301 | 58627 | 68625 | 5353212 |
| 77 | 313 | 58628 | 68629 | 5670119 |
| 79 | 501 | 58629 | 81622 | 5695955 |
| 87 | 503 | 59121 | 99399 | 7263764 |

# №12-ის პასუხები

*შერჩევა*

თარაზულად: 1. მალამო; 5. ჩია; 7. ამერიკა; 9. ტანი; 10. ვერე; 12. ანალიზი; 14. ინი; 15. ედა; 16. ასი; 17. ბირმინგემი; 20. ლოკომოტივი; 21. იგორი.

შვეულად: 1. მარატებელი; 2. ამანათი; 3. ლენა; 4. არილი; 6. ამება; 8. ავი; 11. რადიმოვი; 13. ინდიუმი; 15. ესენი; 16. აგატა; 18. როკო.

ნათესაობითი ბრუნვა

თარაზულად: 7. პარკუჭის; 8. პრარაბის; 11. ატენის; 12. ელჩის; 13. იორკის; 14. შიოსი; 15. რობინის; 16. ესსეს; 19. კიტოვანის; 22. კერენსკის; 24. სოდის; 25. არდის; 26. მერის; 28. სიდის; 31. ელასტიკის; 32. სადალსკის; 34. ივრის; 36. ბეტეგას; 37. ელვის; 41. გრემის; 42. რუსის; 43. შრომის; 44. სასწორის; 45. სიცილიის.

შვეულად: 1. ირანის; 2. ბუასი; 3. სიმენონის; 4. ქრისტინეს; 5. ორბის; 6. ტბორის; 7. პეტრიწის; 9. სეილემის; 10. აჩმის; 17. პარიზის; 18. კეკელას; 20. ოდრის; 21. სოჭის; 22. კიბის; 23. სოიის; 27. ოლივერის; 28. სიმეტრიის; 29. სარანსკის; 30. მილიციის; 33. გეოსი; 35. ირმისა; 38. ლეონის; 39. ოსლოს; 40. ეშლის.

*უნგრული კროსვორდი*

1. ქებურია; 2. აეროპლანი; 3. თვითმფრინავი; 4. ქოლგა; 5. ვერტმფრენი; 6. ჰაერმდღვებნი; 7. პარაშუტი; 8. ციოლკოვსკი; 9. გაგარინი; 10. არმსტრონგი; 11. ბაიკონური; 12. კამიკაძე; 13. კოსმოსი; 14. ატმოსფერო; 15. ღრუბელი; 16. კოროლიოვი; 17. აეროპორტი; 18. სტიუარდესა; 19. პრესნიაკოვი; 20. ჟანა; 21. ნეპტუნი; 22. პეპელა; 23. აეროდინამიკა; 24. ვნუკოვო; 25. მზე; 26. შერემეტიევო; 27. ურანი; 28. ანტეი;

*ჩაინვორდი*

კენგურუ; ურუგვაი; ვაიკულე; ულენშპიგელი; ელიტოპოლი; პოლიტიკა; იტიკავა; კავალერი; ვალერია; რიაზანი; ნიკორწმინდა; წმინდანი; დანიბეგაშვილი; ვილისი; ისინიდი; ინდივიდი; იდიოტი; ტიციანი; ანისული; სულიკო; კოლორადო;

# სწორედ მაშინ ეს "გიგანტიც" გაოცების საზღვარზეა!



## თარაზულად:

26. მათემატიკის ნაწილი; 27. იგივეა, რაც სხვენი; 28. ალ.ჩხაიძის პიესა; 29. მსოფლიო კინოს ლეგენდა; 30. ქალაქი ჰოლანდიაში; 31. ნაცრისფერი ან თეთრი ჩიტი; 32. ხორციანი საკვების თხევადი საკმაზი; 34. ცნობილი ტოპ-მოდელი; 35. რბილი ხორცის ნაწილი; 36. ტკბილეულის სახეობა; 37. ახლადდაბადებული ბატკნის მატყლი; 38. ირანელთა წარმართული რელიგიის ღვთაება; 39. ერთი მიმართულებით მოქმედი საბრძოლო მანქანების ერთობლიობა; 42. ტროპიკული ხილი; 44. აზოტისა და წყალბადის შენაერთი; 46. ისლამური რესპუბლიკა; 47. კაფელი — ქართულად; 48. სოფელი ცაგერის რაიონში; 49. აღმოსავლური "ჰოტელი"; 50. (კომუნისტობისდროინდელი ლექსიკონის თანახმად) სპეკულაციური ციებ-ცხელება კაპიტალისტურ ბირჟებზე; 51. ოთხმოციანი წლების ფრანგი ფეხბურთელი; 52. კ-ფ "განგაშის" პერსონაჟი; 53. ვულკანი და ტბა ალასკაზე; 59. საწყალოსნო ტრანსპორტი: 60. ანსახელშეცვლილი შინაგანი "ორგანო"; 62. ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობითი ნალვაწი; 64. გეომეტრიული ფიგურა; 65. დრაიზერის რომანი; 67. ანმოდაშიშემოსული ამერიკული შეძახილი; 69. მოზრდილი ფრინველი ქათმისებრთა ოჯახისა; 70. გამანადგურებელი ქარი; 71. თურქული "რივიერის" მარგალიტი; 72. მინანქარი; 75. ენის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი; 77. ქალაქი-ნავსადგური ჩილეში; 78. მონღოლეთის კომუნისტური მოღვაწე; 79. გულუბრყვილო; 81. "დიდი" იოსები; 82. სვანური გვარი; 83. ყველაზე დიდი აბაშიძე; 85. ადვილად ზნექად-ჭყლეტად-ფორმაცვალებადი, ანუ... 86. ყველაზე ხშირი "ხმა" 1992-1993 წ.წ. თბილისში; 89. ბერძნული წინსართი, რაც ნიშნავს "სახელს"; 92. გალაკტიონის ერთ-ერთი "კოლეგა" მარტოობაში; 94. სასჯელი; 95. ინგლისელთა "ბატონო"; 96. საბურთალოს ქუჩა; 97. ქართველი რობინის "ჰუდი"; 98. თათული დოლიძის სცენური სახე თამაზ ჭელიძის პიესაში; 99. რუსეთის იორი (თუ ვოლგა მტკვარია); 101. "დავით კოპერფილდის" ავტორი; 102. ნერვულ-ფსიქიური დაავადება; 103. როგორი უნდა იყოს ქალი?, 104. "ადიდასის" მოქიშპე; 105. ქართველი ხუროთმოძღვარი; 112. თევზის ჯიში (რუს.); 113. იაპონელი პოლიტიკოსი; 115. ქალაქი ალჟირში (რუკები ჩქარა!); 117. საზამთროების "გასასუქებელი" ნიტრატების სახეობა; 118. მედლის უკანა მხარე (ავერსის ანტონიმი); 120. შემოგარენი; 124. თამაზ მელივას კინოფილმი; 125. ორი კორპუსისაგან შემდგარი ხომალდი; 127. სხვა ლითონთან შეერთებული ვერცხლისწყალი; 129. ინგლისელი პოპ-ვარსკვლავი; 131. რუსული ეპოსის სახეობა; 132. აზიის სახელმწიფო; 133. ინსტრუმენტული მუს.ნაწარმოები; 135. მსხვერპლი; 137. 50-იანი წწ. ქართული კინოფილმი; 138. ქვეყნის ნაწილი; 139. გერმანიის ქალაქი; 140. საოცრებათა ქვეყანაში მოხვედრილი გოგონა; 141. წილი; 142. სოფელი ლანჩხუთის რაიონში; 143. იტალიელი ფეხბურთელი; 148. საყოფაცხოვრებო დანადგარი; 149. რუმინეთის პატარა ქალაქი (რუკები ჩქარა!); 150. სიმინდის "გარდერობის" ოდენობა; 151. ნალექი ქანი; 153. ქალაქი ძიანსუს პროვინციაში, ჩინეთი; 154. ჭადრაკის ქალმერთი; 160. სამუშაო ფართი; 161. 60-იანი წლების თბილისის "დინამოს" ფეხბურთელი; 164. საქართველოს ისტორიული ძეგლი; 167. გადასახადი მიწით სარგებლობისათვის; 168. შექსპირის კომედიების პერსონაჟი; 169. ხილული გარემო; 170. ორენოვანი; 171. მაგარი ქანი; 172. მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი; 173. არგენტინელი ფეხბურთელი; 174. პოლონელი ქალბატონი; 177. კიდევ ერთი ქალაქი, მსოფლიო მნიშვნელობისა; 178. ცნობილი შავკანიანი ჩოგბურთელი; 180. გურიის კურორტი; 181. 80-იანი წლების იტალიელი ფეხბურთელი; 183. ქალაქური მოფერებითი ნაწილაკი; 185. მოსყიდვა; 186. ის, რაც სასწრაფოდ დაგჭირდათ N115 და N149-ში; 187. ერებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრე; 188. პოეტური გამოცანა; 189. მსუბუქი ორანძიანი ნავი; 190. საქართველოს ერთ-ერთი მეფე; 191. ერთი (თქვენს შესასწავლ ენაზე); 192. უძველესი ებრაული სახელმწიფო; 193. ძვ.ეგვიპტელი "პრეზიდენტი"; 194. ნებართვა ქვეყანაში შესასვლელად.

## შვეულად:

1. კონცხი პელოპონესის ნახევარკუნძულზე, საბერძნეთი; 2. აკუტაგავა... 3. ქალი, რომელმაც შვიდი სროლიდან ვერც ერთი ვერ მოარტყა; 4. ქალაქი პოლონეთში; 5. ქალაქი ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში, გფრ; 6. ცნობილი ეგვიპტელი ფერმწერი; 7. სექტემბერი — ძველქართულად; 8. პათეტიკური "აღჭურვილობის" გრძელი ფრაზა; 9. ვახტანგ კოტეტიშვილის კინოფილმი; 10. იგივეა, რაც ოპიუმი; 11. ცეცხლსასროლი იარაღის სამიზნე მოწყობილობა; 12. სახლიდან გასვლა — ბავშვისათვის; 13. რუსეთ-ესტონეთის სადავო ქალაქი; 14. სცენიური "პიგმალიონის" ავტორი; 15. ერთ-ერთი მთიელი ქართველი; 16. თამბაქო მავნებელია, მაშ რაღაა "ეს" ე.წ. სიგარეტი? 17. მაცდუნებელი ხილვა; 18. (თვითონ, ცეკვა-ცეკვით ჩაიწერება); 19. შვეული N4-ისთვის მთავარი ქალაქი; 20. ზემო ვიენის ადმ. ცენტრი (საფრანგეთი); 21. არაბულიდან შემოსული სახელი; 22. რა "ეწვებათ" ხოლმე ხელმოცარულებს? 23. მუსიკალური ნაწარმოების გადაკეთება სხვა ინსტრუმენტისათვის; 24. სოფელი ხარაგაულის რაიონში; 25. ხრიკი; 27. ზღაპრული არსება; 31. ფილიპ კირკოროვის მშობლიური ქალაქი; 32. თხელი, სიფრიფანა კანი რისამე; 33. ქართული ანბანის ასო; 35. ლერმონტოვისეული "ჩვენი დროის გმირის" პერსონაჟი ქალი; 39. მცირე აზიის დასავლეთი სანაპირო; 40. ვულკან ტანზანიაში; 41. პირველყოფილ ადამიანთა თაყვანისცემის ერთ-ერთი პოსტულატი; 43. "უკიდურესის" მანიშნებელი ლათინური წინსართი; 44. რაინლანდ-პფალცის მხარის კურორტი, გფრ; 45. მუსიკალური ინსტრუმენტი; 46. სესილია თაყაიშვილის კინოროლი; 53. ვასილ ბარნოვის "ტრფობა წამებულის" ნაწამები მეფე; 54. ვულკანის ნაწილი; 55. კომუნისტობისდროინდელი საქართველოს დიდი ფუნქციონერი; 56. ადრეული საუკუნეების სკანდინაველი მეომარი-მეზღვაური; 57. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე ქალი; 58. ცნობილი ქართველი ბარდი-გიტარისტი 59. ცნობილი ქართველი ბელეტრისტი, სახელად დია; 60. "ასერგასის დღის" ავტორი; 61. მაიმუნების სახეობა; 62. დათვის საოცნებო "ყუთი"; 63. ის ხორბლისებრი, რომელსაც მარცვლის ბუდე არა აქვს; 65. ადამიანობის "ფუძემდებელი"; 66. კავშირი — ფრანგულად; 68. კომპოზიტორ კალმანის სახელი; 69. თეთრი ლაქა თვალის გუგაზე; 73. პოეზიის მოყვარული კანონიერი ქურდი, "მჟავე" ხასიათით; 74. რაიმე ქმედების ან წარმოების უფლებათა დასაკუთრება; 76. აფრიკის ისლამური რესპუბლიკა; 80. წვეულება; 83. "თვით"-ის მანიშნებელი ბერძნული წინსართი; 84. მუსიკალური ინსტრუმენტი; 85. სახელი იმ გოგონასი, რომელმაც ანდროპოვს წერილი გამოუგზავნა აშშ-დან; 87. დას. საქართველოს ღვინო; 88. ბიჭუნას გამზრდელი მგელი კიპლინგის მოთხრობაში; 89. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი; 90. ქალაქი კანადაში; 91. კოლუმბიელი ფეხბურთელი; 93. ძაღლებზე მონადირე ცნობილი გურული; 95. ზოდიაქოს ნიშანი აპრილ-მაისში დაბადებულთათვის; 96. ქალისათვის ყველაზე უსიამოვნო მატება "რაოდენობისა"; 100. ევროპის ჯუჯა სახელმწიფო; 106. ურარტუს უძველესი ქალაქი; 107. ორგანული ნივთიერება, "B" ჯგუფის ერთ-ერთი ვიტამინი; 108. ვალიკო მიზანდარის საყვარელი საქმიანობა; 109. ვოკალური ნაწარმოები; 110. "შტატი" არაბულად; 111. ჩვენს დაუსწრებლად ჩვენი ხსენებით გამოწვეული ქმედება; 114. "სიცოცხლის" მანიშნებელი ბერძნული წინსართი; 116. ალექსანდრეს ერთ-ერთი ქართული შემოკლება; 119. ორგანიზებული დანაშაული; 120. "თორნიკე ერისთავის" ერთ-ერთი პერსონაჟი; 121. ძალიან თხელი: 122. ლონდონის ერთ-ერთი ღირშესანიშნაობა; 123. სპეციალურად გამოზრდილი მეძავი იაპონიაში; 125. მოწონების შეძახილი თეატრში; 126. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ფეხბურთში; 127. ამავე ნომრის თარაზული სიტყვის პროცესუალური ვარიანტი; 128. მოცარტის ანტიპოდი პუშკინის პოემაში; 130. შტრაუსის მშობლიური ქალაქი; 131. ქალი, რომლის გაბახებაც დათა თუთაშხიას დააბრალეს; 134. ყარაჩოღელების საქეიფო ტრანსპორტი; 136. ქალი, რომლის საყვარლობაც დააბრალეს ჩაპაევს; 141. "კოლხეთის ცისკარის" პერსონაჟი ... საგანელიძე; 144. მცხეთის რ-ნის სოფელი; 145. ჩრდილო-კავკასიის საძოვრები; 146. აშშ-ს შტატი; 147. "პარლამენტი", რომლის "სპიკერი" ალუდა ქეთელაური იყო; 148. ნაკურთხი წყალი; 150. საფრანგეთის ნაკრების მეკარე; 152. "მზის" მანიშნებელი ბერძნული წინსართი; 155. გაზეთი, რომელსაც ყოველკვირა პლიუსი ერთვის; 156. წყლის გამაცხელებელი; 157. ქვეყნის ნაწილი; 158. საკვები პროდუქტების ნაკრები; 159. ყვირილის მარცხენა შენაკადი ჭიათურასთან; 160. სოფელი ცაგერის რაიონში; 161. პანიკის მანიშნებელი ქართული შორისდებული; 162. ყველაზე ცნობილი კალანდაძე; 163. კათოლიკე მღვდელი; 165. მთავარი სისხლძარღვი; 166. ქალაქი ყირიმში; 168. თეატრალური გასანათებელი საშუალება; 170. ქალბატონ მზია მაღლაკელიძის მომღერალი ქალიშვილი; 174. მამაკაცის სპეციფიური ჩეხური სახელი; 175. ცხენის და ვირის "უკანონო" შვილი; 176. ჩრდილო-ატლანტიკის გაერთიანება; 179. ქვეყნიერების ყველაზე დიდი სისტემის მაორგანიზებელი სხეული; 180. შინაური ცხოველი; 181. მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების დამაკავშირებელი; 182. შეგულიანება-წაქეზების გამომხატველი სიტყვების გამაძლიერებელი; 184. სად უნდა იყოს ჭირი და ქატო?

### №12-ის პასუხები

თარაზულად: 21. მეტროპოლიტენი; 22. დაფა; 23. მაკაროვა; 24. მინანქარი; 25. ორიანი; 28. გაბო; 29. მობილიზაცია; 30. ანდაზა; 31. სილვა; 32. აბერაცია; 33. ანბანი; 34. ბაგირა; 37. ათიანი; 38. ერევანი; 40. ერე; 41. პარანა; 42. მადიმანი; 43. ნაკადული; 44. ღუშამბე; 45. სატინა; 49. ილინოისი; 52. რაიხი; 53. რეზონანსი; 54. აცილება; 55. იგი; 56. კირენაიკა; 59. ინტელიგენცია; 60. ხიზილალა; 61. იოგა; 63. სარისტა; 64. სრა; 65. ოსი; 69. ანო; 70. ფანატიზმი; 71. ლატვია; 72. სპა; 73. სვე; 74. აჩუ; 75. რიმესა; 77. ირონია; 78. ორიენტალისტიკა; 81. იზეო; 82. არა; 83. ფაქსი; 86. რუსი; 87. მენიუ; 89. კვარტალი; 90. პორტუგალია; 93. კასიანო; 94. აკვარელი; 95. ხაიკუ; 96. ნიავი; 97. კივი; 98. ციალი; 99. ლივ; 100. ალბერტი: 102. კოსტა-რიკა; 103. იდენი; 106. ელეგია; 107. მონო; 109. კირი: 110. რითმა; 113. მოლიპული; 118. ლაგამი; 119. იასონი; 120. ტრეისი; 121. იასი; 123. ოიმიაკონი; 124. ოყა; 125. ფხა; 126. ინსტანცია; 128. პუშკინი; 129. ერი; 130. აიაზმა 131. ატილა; 133. ტრაქტორი; 134. რკო; 135. მიზანდარი; 137. ეკო; 138. დურგალი; 140. ვილა; 141. ჩარლი; 143. რენტა; 144. ასლი; 145. ანდერძი; 146. ევერესტი; 148. ხიკვი; 153. ალაპი; 154. ასიუტი; 155. ავარა; 156. რიო; 157. თეთრი; 158. ასპიროზი; 159. რაზდანი; 160. ილუზიონისტი; 161. კლინტონი; 162. სარდალი; 163. მიამიტი; 165. ოიამა.

შვეულად: 1. მოსამსახურე; 2. ერითროციტი; 3. ტილი; 4. რავანელი; 5. ონანა; 6. ლებედი; 7. იმერული; 8. ნიცა; 9. აბაშა; 10. ფონ; 11. მონე; 12. აბი; 13. ალბატროსი; 14. რია-რია; 15. ოზგანი; 16. ვაინახი; 17. აცრა; 18. ანპილოგოვი; 19. ქარავანი; 20. რადიუსი; 22. გაიუსი; 23. მარე; 26. რელიგია; 27. ავინიონი; 28. ინდიკატორი; 29. ზებია; 32. იკებანა; 35. შირაე; 36. დეზი; 39. მირაზი; 40. ნენსი; 41. სპარტა; 46. ინსპექცია; 47. ნესესერი; 48. ელასტიური; 49. ალო; 50. ისლი; 51. კაა; 53. ტრანსილვანია; 56. გარანტი; 57. ივო; 58. ტაო; 61. ფრე; 62. ინაუგურაცია; 64. სია; 65. სლოვაკეთი; 66. აივანი; 67. ჩკალოვი; 68. მხურვალე; 70. ოზალი; 76. იყალთო; 77. ომახიანი; 79. როკი; 80. სტალაგმიტი; 84. ასურეთი; 85. ტაკიმასხარა; 86. პაციენტი; 88. ენციკლოპედია; 91. აეროპორტი; 92. ინდიანა; 93. ილი; 95. ლტოლვა; 99. სმოკინგი; 100. ერგი; 101. ლარნაკა; 102. იასალდე; 104. რიყიანი; 105. მაფია; 108. ლიგა; 110. მორზე; 111. ოაზისი; 112. ესტონეთი; 113. ინაური; 114. სატირა; 115. იკრა; 116. მიკრო; 117. ინოლა; 122. პრასი; 124. ეირი; 125. ადალინი; 127. ქვე; 128. ოლესია; 132. რძიანა; 133. ლალიძე; 134. ჩიტა; 135. ოკრიბა; 136. ლიმიტი; 138. დარნა; 139. ეპოსი; 140. ვიზა; 141. ტური; 142. ხვიჩა; 143. ვალე; 144. გოია; 147. იზმი; 148. ანრი; 149. გზა; 150. რომი; 151. ელო; 152. იტა; 153. სიო; 154. ირა; 155. ახო.

ვახტანგ ელერდაშვილი